

ძღიერი წვიმა და უამინდობა საქართველოში



ძღიერმა წვიმამ ქვეყნის მასშტაბით პრობლემები შექმნა. რუსთავში ქაღაქის შესასვლელი ისევ დაიტბორა. მოძრაობა შეფერხებულია ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ძღიერი წვიმა იყო გორშიც, დაზარადა სოფელი მეჯვრისხევი.

უხვი ნარექის გამო დედაქალაქში, ამაშუკვერის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსიდან მოსხრეობა გაიყვანეს. სანიაღვრე არხი წყლის დიდი ნაკადის გამო ჩაიხერგა, წყალი კი საცხოვრებელი კორპუსის მიწისქვეშა ავტოსადგომში შევარდა. ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამაშველო დახმარების სამსახურები. მათ შენობისკენ მიმავალ წყალს მიმართულება შეუცვადეს, დაგროვილი წყალი ამოტუმბეს და სანიაღვრე არხი გაწმინდეს.

პირველადი დათვარიერებით, კორპუსის საძირკვედს საფრთხე არ ემუქრება. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

“ნიუპოსტის” ინფორმაციით, მეტეხის ქუჩაზე ჩამოინგრა კედელი,

რომდღაც ქვეშ ავტომობილი მოიყოლა. სააგენტო ფეისბუკ-მომხმარებელ გვანცა ჯობავას პოსტს ეყრდნობა, რომდღემაც სოციალურ ქსელში ფოტოც გამოაქვეყნა. “კედელი გუშინ მოსური ძღვერი წვიმის შედეგად ჩამოინგრა, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია,” –წერს ჯობავა.



წვიმის გამო დაიტბორა თბილისის რამდენიმე უბნის ქუჩაც, ასევე გართულებული იყო ავტოტრანსპორტის მოძრაობა. უხვი ნარექსი გამო გმირთა მოედანი – თამარაშვილის ქუჩის მიმართულებით მოძრაობის დროებითი შეზღუდვის რეჟიმი მოქმედებდა. თბილისის მერი უნივერსიტეტის ქუჩაზე იყო, სადაც წყლით ავტომობილები დაიტბორა.

წვიმის გამო დაიტბორა გრდანიში, ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა გადასასვლელი და იქ განთავსებული მაღაზიებიც, სადაც წყლის დონე 40 სანტიმეტრს აღწევდა. ღამით წყლის ძღვერმა ნაკადმა ასევე დააზიანა გრდანი-სოფელი გიორგიწმინდის დამაკავშირებელი გზა.

საერთო ჯამში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 153 შეტყობინება შევიდა. უწყების განცხადებით, შეტყობინებების ნაწილი ფიქტიური აღმოჩნდა.